ხაშურის მოამბე

№34 (65) 5 სექტემბერი, ორშაბათი, 2016 წელი

ასპროცენტიანები

წარმატებულები, ნიჭიერები, ინტელექტუალები, ერუდირებულები, ლაღები, კარგები, სასახელოები... ღმერთო, ყველა დადებითი ეპითეტი მემატება ამ ბავშვებისათვის. თუმცა, რაღა დროს ბავშვები? დამთავრდა ბავშვობა. წინ ულამაზესი და ცხოვრების ყველაზე ტკბილი პერიოდი ელოდებათ - სტუდენტობა. პერიოდი, რომელიც მათთვის სრულიად სხვა სამყაროში ხსნის ალაყაფის კარებს, შეუცნობლის შეცნობაში იწვევს მათ და სწორედ ამაშია ყველაზე დიდი ვნება. განა ჩვენი კლასიკოსი მწერალიც იგივეს არ ამტკიცებს: შენებაშია ვნება და არა აშენებულით ტკბობაშიო, როცა ამბობს. სათაურში გამოტანილი „პოსტულატიც“ როგორ უხდებათ ამ ახალგაზრდებს. ჰოდა, გვინდა სულ ასეთი ასპროცენტიანები ყოფილიყვნენ ისინი სწავლაშიც, შრომაშიც, გარჯაშიც, მამულიშვილობაშიც, სამშობლოს სიყვარულშიც და ნებისმიერ სხვა საქმეშიც.

გამიგრძელდა შესავალი სიტყვა და მოდით, პირდაპირ ვთქვათ სათქმელი: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლა-დამთავრებულებიდან, 13-მა აბიტურიენტმა 100 პროცენტიანი სახელმწიფო გრანტი მიიღო. აი, სინიც:

გიორგი ბლიაძე (სურამის III საჯარო სკოლა);
მარიამ ლეშკაშელი (დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი);
თორნიკე გრიგალაშვილი (სურამის II საჯარო სკოლა);
თამარ ტყემალაძე (ხაშურის IV საჯარო სკოლა);
ნინო ჭადაშვილი (ხაშურის VIII საჯარო სკოლა);
მარიამ რობაქიძე (დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი);
თეონა ივაშჩენკო (ხაშურის VI საჯარო სკოლა);
მარიამ გელაშვილი (ხაშურის VII საჯარო სკოლა);
მარიამ ლომიძე (ხაშურის VI საჯარო სკოლა);
თამარ დევაძე (ხაშურის VII საჯარო სკოლა);
გრიგოლ ჭყოიძე (ხაშურის III საჯარო სკოლა);
რუსუდან სურგულაძე (ხაშურის IX საჯარო სკოლა);
დავით ლურსმანაშვილი (ხაშურის IX საჯარო სკოლა).

ერთი სასიამოვნო ფაქტიც: ეს სია შეიძლება არასრული იყოს და მათი რიცხვი, არაა გამორიცხული, გაიზარდოს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასე ვთქვათ, საბოლოო „მზა“ სიებს არ აქვეყნებს და ჩვენ სულ სხვადასხვა წყაროებიდან მოგვიხდა ჩვენი „ასპროცენტიანების“ მოძიება. რა თქმა უნდა, დიდად დაგვეხმარა განათლების რესურსცენტრი და სწორედ ისინი არ გამორიცხავენ, რომ ამ ბავშვების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს.

ახლა, ამ ჩვენს „ასპროცენტიანებს“ მიუმატეთ ათეულობით ე.წ. 70 პროცენტიანი (რაც, ასევე, ძალიან მღალი შედეგია), და არავის არ გაუკვირდეს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი, საქართველოს სხვა რაიონებს შორის, თუ პირველზე არა, პირველ სამეულში უცილობლად აღმოჩნდება, რა თქმა უნდა, წარმატებული აბიტურიენტების სიმრავლით. ეგებ ამ ციფრმა მაინც დაადუმოს ხაშურზე და ხაშურელებზე მოქილიკე ყბედები, რომლებსაც ჩვენი ქალაქი, რატომღაც, სამყაროს დასასრულის საზღვრისპირა დასახლება ჰგონიათ.

სრულიად ვეთანხმებით მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელმაც მათთან შეხვედრისას, მილოცვის შემდეგ აღნიშნა: თქვენ ხვლინდელი დღე ხართ, არა მარტო ჩვენი ქალაქის, არამედ სრულიად საქართველოსი...

პირადად მეც, ყოველგვარი ნიჰილიზმი მიქრება და როდესაც ამ ბავშვებს ვუყურებ, მჯერა, ივერია ნამდვილად გაბრწყინდება. ამიტომაც გიხდით თქვენ დიდ მადლობას, თავს ვხრით თქვენი პედაგოგების წინაშე და კიდევ ერთხელ გილოცავთ თითოეულს.

იცოდეთ, რომ ყოველთვის გვეიმედებით!

P.S. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ზოგიერთი გასულია ქალაქიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმყოფება დასასვენებლად (არ ეკუთვნით, თუ რა?!), ცამეტივეს შეკრება ვერ მოვახერხეთ და ფოტოზე მხოლოდ 9 მათგანია.

გოგი გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 86

2016 წლის 25 აგვისტო, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის ""ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად და სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ №49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, განსაზღვროს ადგილები ან/და დადგას სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. კანონის აღნიშნული ვალდებულებისა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის 2016 წლის 27 ივლისის სხდომაზე მიღებული რეკომენდაციის ეფექტიანი აღსრულების მიზნით, იმისთვის, რომ საარჩევნო სუბიექტებისთვის გარანტირებულ იქნეს საარჩევნო აგიტაციის წარმოების თანაბარი შესაძლებლობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად და სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ“ №49 განკარგულებაში ცვლილების შეტანას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. განკარგულების 1-ლი პუნქტით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი №1 თან ერთვის ერთ ფურცლად);
2. განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.“

3. განკარგულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.“

4. განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (2 ფორმატი).“

5. განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ ადგილას, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 1 ცალით;

6. განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტები, შესაბამისად, გადაინომროს მე-6 და მე-7 პუნქტებად.
7. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
8. განკარგულება ეცნობოს ხაშურის №35 საოლქო სარჩევნო კომისიას.
9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალების გასაკრავად შერჩეული ადგილები

ხაშურში:

1. ხაშურის საქალაქო კულტურის ცენტრის (ეგრეთწოდებული რკინიგზის კულტურის სახლის) მიმდებარე ტერიტორია.
2. ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე- სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთნ, სადენებთან და სხვა ელ. მოწყობილობებთან არა უმეტეს 1 მეტრის სიახლოვისა.

დაბა სურამში:

1. კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორა.
2. კოსტავას ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია.
3. ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე- სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთნ, სადენებთან და სხვა ელ. მოწყობილობებთან არა უმეტეს 1 მეტრის სიახლოვისა.

მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ე.წ ყოფილი სოფლის კულტურის სახლების, კლუბების და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე - სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთნ, სადენებთან და სხვა ელ. მოწყობილობებთან არა უმეტეს 1 მეტრის სიახლოვისა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების მიერ შეიძლება საარჩევნო ღონისძიებები ჩატარდეს შემდეგ შენობებში:

ხაშურში:

ხაშურის საქალაქო კულტურის ცენტრი (ე.წ რკინიგზის კულტურის სახლი).

დაბა სურამში:

1. კოსტავას ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში:

ე.წ ყოფილ სოფლის კულტურის სახლებსა და კლუბებში.

ვაჟა შუბითიძის მონოგრაფიის პრეზენტაცია - ფოთში

ამ დღეებში, ფოთში ჩატარდა ფოთისა და ხობის ეპარქიის განახლების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებანი, რომლებზეც მიწვეულები იყვნენ სურამისა და ხაშურის ეპარქიის მმართველი **მეუფე სვიმეონი** და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ვაჟა შუბითიძე.**

სადღესასწაულო ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა ვაჟა შუბითიძის მონოგრაფიის „ნიკო ნიკოლაძე-კაცი-სახელმწიფო“ პრეზენტაცია, რომელმაც დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

საზეიმო ღონისძიებებს ესწრებოდნენ მთავრობისა და პარლამენტის, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის წარმომადგენლები, ცნობილი მოღვაწეები -გურამ დოჩანაშვილი, სერგო ვარდოსანიძე და სხვები. იმავე დღეს გაიმართა ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო სხდომა, რომელმაც გაწეული ღვაწლისათვის სამეცნიერო სფეროში თავის საპატიო წევრ-აკადემიკოსად აირჩია პროფესორი ვაჟა შუბითიძე.

მეცნიერი, რომელმაც ქვევრის ღვინო გადაარჩინა და მსოფლიოს გააცნო

არქეოლოგიური მასალები ცხადყოფს, რომ მსოფლიოში ერთადერთი თუ არა, ერთ–ერთი უძველესი მეღვინეები და ყურძნის უნიკალური ჯიშების პატრონები ვართ, რომლითაც თამამად შეიძლება მოვიწონოთ თავი და ადგილი დავიმკვიდროთ. გარდა უნიკალური ჯიშებისა, მიშვნელოვანია ღვინის სწორად და ტრადიციული მეთოდით დაყენება, რაც გამოარჩევს მას სხვა ქვეყნის ღვინოებისგან. ალბათ, ბევრი ჩვენგანის მარანში დღესაც ინახება ქვევრები, რომლებიც ჩვენი ბაბუების, მათი ბაბუების დანატოვარია, სწორედ ქვევრის ღვინო წარმოადგენს საუკეთესო ქიმიური შემადგენლობის და გემოვნური თვისებების ღვინოს, რომელიც იქცევს საერთაშორისო ყურადღებას და დიდ ინტერესს იწვევს. ვერც კი წარმოიდგენთ, რომ ეს ტრადიციული, იუნესკოს მიერ არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარებული ქვევრის ღვინო, ერთხანს წარმოებიდან ამოღებული და მივიწყებული იყო. რომ არა ბევრი იღბლიანი შემთხვევა და ჩემი რესპოდენტის ძალისხმევა, ახლა მხოლოდ პოლიეთილენის, ხის და სხვა მასალის კასრებში დამზადებული ღვინო გვექნებოდა, რომელიც, დამეთანხმებით, ახლოსაც ვერ მივა ქვევრის ღვინოსთან. **თეიმურაზ ღლონტი** -ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ალავერდის მონასტრის მარნის კონსულტანტ-ენოლოგი, ჟურნალ "ვაზი და ღვინო"-ს მთავარი რედაქტორია, ეს მცირე ჩამონათვალია მისი რეგალიების, სოციალური სტატუსების და დამსახურებების, რომელიც მას ქართული მეღვინეობა-მევენახეობის სფეროში აქვს. ბატონი თეიმურაზი, ჩვენი ქალაქის ხშირი სტუმარია. ჩვენ არ გავუშვით შემთხვევა ხელიდან და დღეს მკითხველს ამ უაღრესად საინტერესო პიროვნებას შევახვედრებთ. სამწუხაროდ, გაზეთის მცირე ფორმატის გამო, სრულად ვერ გთავაზობთ მასთან ჩაწერილ, ძალიან საინტერესო საუბარს, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით მისი და მკითხველის წინაშე.



„ქვევრის ღვინის I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი" ალავერდის მონასტერში. 2011 წელი. თეიმურაზ ღლონტი და ამერიკელი მეცნიერ-ანთროპოლოგი დოქტორი პატრიკ მაკგოვერნი.

–1961 წელს დავამთავრე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობა–მეღვინეობის ტექნოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ მებაღეობის, მევენახეობა–მეღვინეობის კვლევით ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა, სადაც 48 წელი გავატარე. დავიცავი საკანდიდატო-სადოქტორო. გარდა ამისა, დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. შემდეგ უკვე ასპირანტურაში გავაგრძელე სწავლა. პარალელურად, ვამზადებდი საკანდიდატოს მეღვინეობაში. 1988 წლიდან ვეწეოდი პუბლიცისტურ საქმიანობას მრავალდარგოვანი ტრადიციული სოფლის მეურნეობის აღორძინების საკითხებზე. 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ვარ, პუბლიცისტური წერილების, რომლებიც ორ წიგნადაა გამოცემული: 1988 წელს გამოვეცი "ილია ჭავჭავაძე და სოფლის მეურნეობა" და "ხმა მღაღადებლისა" 2002 წელს, სადაც მოთავსდა პრესაში გამოყენებული წერილები, იქ ჩანს ილია ჭავჭავაძის შეხედულება და პრობლემატიკა. 2003 წლიდან მსოფლიო ბანკმა დაიწყო ინსტიტუციური რეფორმები ჩვენს ინსტიტუტში, ეს უნდა ყოფილიყო სამაგალითო, რომელიც შემდგომ დაინერგებოდა ქვეყნის სოფლის მეურნეობაში. მე ამირჩიეს მეღვინეობის განყოფილების გამგედ. ასე გამოკვეთილად ეროვნული მიმართულება მანამდე არ ყოფილა ხეხილისა და ვაზის ადგილობრივი გენოფონდის და ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგიების აღდგენა-სრულყოფის ხელშეწყობისათვის.

2010 წ. ვაზისა და ღვინის 33-ე მსოფლიო კონგრესი. მარცხნიდან მარჯვნივ: „ I.V." პრეზიდენტი დოქტორი ივ ბენარი, თეიმურაზ ღლონტი, ვიცე-პრეზიდენტი დოქტორი ფედერიკო კასტელუჩი.

- ხაშურთან თქვენი კავშირის შესახებ გვიამბეთ...

–მე ვარ პირველი სკოლის დირექტორის, თამარ ცინცაბაძის დისშვილი. დეიდა 33 წელი იყო სკოლის დირექტორი, ზაფხულობით აქ ვართ და პერიოდილად ჩამოვდივართ დეიდის სახლში, რადგან მას საკუთარი ოჯახი არ ჰქონია. აქ მაქვს ვაზი, ხეხილი, საკუთარი ხელით ვუვლი, ვერ მიატოვებ, სულ ყურადღება უნდა. ველოდები, მსხმოიარობაში შევიდეს, რომ „დანახარულისა" და „მცვივანის" ღვინო დავაყენო.

-ძალიან დიდი წვლილი ქვევრის ღვინის გადარჩენაში თქვენ მიგიძღვით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქვეყანას თქვენი ძალისხმევით დაუბრუნდა და შეუნარჩუნდა ქვევრი. ამაზე გვიამბეთ...

–იმ დროს არსებობდა კვების მრეწველობის საპროექტო ინსტიტუტი, რომელიც მინისტრთა საბჭოს ექვემდებარებოდა. იქ იხილებოდა საკითხი წარმოებიდან ქვევრის ამოღების შესახებ. 1966 წელი იყო, მახსოვს, ახალი მისული ვიყავი ინსტიტუტში, პროფესორმა გიორგი ბერიძემ შემომთავაზა დამეწერა მოხსენება, რომელიც ქვევრში დაყენებული ღვინის სიკეთეებს შეეხებოდა. ეს მოხსენება დიდი განხილვისა და ბჭობის საგნად იქცა. 80-იანი წლებიდან ისევ დაიწყო ბრძოლა ქვევრის ღვინის წინააღმდეგ. 1995 წელს ჩამოდის იტალიელი გრამერი, ყიდულობს ქვევრებს კახეთში და მიაქვს. ევროპელები ყოველთვის დიდი ინტერესით გვიყურებენ, როგორც ჩანს, კარგად იცოდნენ მათ ქვევრის ღვინის შესახებ. დღესაც წარმატებული ბიზნესმენია, იაპონიაში ეწევა ქვევრში დაყენებული ღვინის ექსპორტს. 1998 წელს დამტკიცდა კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ. 10 წელი ვიყავი ამ კომიის წევრი, ბოლო ორი წელი პარლამენტში ვმუშაობდით კანონპროექტის დასრულებაზე.

-რა იყო ამის შემდეგ, როგორ გაგრძელდა პროცესები?

–2006 წელს ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა მიმიწვია კონფერენციაზე "ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები", სადაც ხელოვნებათმცოდნეები და არქეოლოგები იყვნენ მიწვეულები. მოხსენება მქონდა მევენახეობა-მეღვინეობაზე, ძალიან დიდი აჟიოტაჟი და ინტერესი გამოიწვია. მეუფემ შემომთავაზა, XI საუკუნის ახლადაღდგენილ მარანში დაგვეყენებინა ღვინო. მეორე წელს დავაყენეთ ღვინო, რომელმაც ორი წლის შემდეგ იტალიის მასშტაბურ ფესტივალზე "ვინი იტალია", სადაც 500 დეგუსტატორი (სომელიე) ესწრებოდა, დიდი მოწონება დაიმსახურა, როგორც ტრადიციული ტექნოლოგიით დაყენებულმა, ბუნებრივ საფუვრებზე დაუმუშავებელმა ღვინომ. მსოფლიო აღიარება მოჰყვა ამ ფაქტს. ეს იყო 2009 წელს, ხოლო 2010 წელს, ლონდონში, "დეკანტერის" ყოველწლიურ საერთაშორისო კონკურსში, სადაც 11 000 ნიმუშამდე იყო წარდგენილი, მიიღო ბრინჯაოს მედალი. ეს იყო ოქროს ტოლფარდი გამარჯვება, რადგან მანამდე ევროპამ არ იცოდა ჩვენი ღვინო, ძალიან კარგი შეფასებები მოჰყვა ამ ფაქტს. "საფერავმა" ისევ ალავერდში დაყენებულმა, რეგიონული გრან-პრი მიიღო. ეს იყო ძალიან დიდი გამარჯვება. იქ თუ ღვინომ გაიმარჯვა, იმას ფასი ეწევა ყველა ქვეყანაში. მის მერე, უკვე 17 ოქროს მედალი აქვს მოპოვებული ქვევრის ღვინოს.

2010 წ. ვაზისა და ღვინის 33-ე მსოფლიო კონგრესი. თეიმურაზ ღლონტი კითხულობს მოხსენებას: „ქართული ღვინის ისტორია და ტრადიციული ტექნოლოგიები"

-როგორც უკვე აღნიშნეთ, ეკლესიის როლი დიდია ქვევრის ღვინის გადარჩენა-პოპულარიზაციაში...

–2010 წლის მსოფლიო წარმატების შემდეგ, 2011 წელს შვეიცარიელმა, გერმანელმა და ავსტრიელმა მეღვინეებმა შექმნეს ქვევრის ასოციაცია და მიგვიპატიჟეს გახსნაზე. მეუფის დიდი ძალისხმევით, ოთხმა დამფუძნებელმა ჩამოაყალიბეს ქვევრის ფონდი და წავიდნენ გახსნაზე, როგორც წარმდგენები ქვევრის ფონდის და არა წარმომადგენლები. ეს ყველაფერი მცირე დროში მოხდა. იმ წელსვე ექსპო ჯორჯიაში, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მთელი კედელი ეკავა ყველა მწარმოებელს, რომლებიც ქვევრის ღვინოს აყენებდნენ. ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. ამის შემდეგ ალავერდში, შემოდგომით, ჩავატარეთ ქვევრის ღვინის პირველი სამეცნიერო სიმპოზიუმი, ეს იყო ასევე დიდი მნიშვნელობის. ამაში სახელმწიფოს მონაწილეობა არ მიუღია, ეკლესიამ და მსოფლიო ბანკმა გაუწია ორგანიზება. დარბაზიდანვე მიდიოდა პირდაპირი ტრანსლაცია სხვადასხვა ქვეყნებში, რამაც ძალიან კარგად იმუშავა. დღეს ეს სიმპოზიუმი ორ წელიწადში ერთხელ იმართება, სადაც აქტიურად ვმონაწილეობთ.

გორი-ატენის ეპარქიაში მეუფე ანდრიამ გახსნა დედათამონასტრის უძველესი მარანი და ჩამოასხა "ბუდეშური", ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ოჯალეში გაამზადა ჩამოსასხმელად. სხვა მეუფეებიც მზად არიან ხელი შეუწყონ ტრადიციული ჯიშების გადარჩენას და მის ტრადიციულ დაყენებას.

-რა სხვაობაა ჩვეულებრივი წესით დაყენებულ და ტრადიციული წესით დაყენებულ ღვინოებს შორის?

–ქვევრის ღვინოს განსაკუთრებული გემოვნური და ქიმიური თვისებები აქვს. ადრე ტრადიციული ტექნოლოგიები დარღვეული იყო. ღვინო უნდა დაღვინებულიყო აპრილამდე. მოსკოვში უნდა გაგზავნილიყო მონაცემი, თუ რა რაოდენობის ღვინო დააყენა ქვეყანამ. დეკემბერში ხსნიდნენ ჭაჭიდან, ღვინო ვერ იძენდა იმ თვისებებს, რომელიც ახასიათებს. არომატები ღვინოს იანვრიდან უჩნდება, იხვეწება, რბილდება და სტაბილური ხდება, რაც დეკემბერში გახსნის შემთხვევაში, იკარგებოდა.

-ქვევრში დაყენების ტექნოლოგია როგორია?

–დაყენების ხუთი ტექნოლოგია გვაქვს საქართველოში. აქამდე ორი იყო ცნობილი, კახური და იმერული. კახური, იმერული, ბუნებრივად ცქრიალა, სამეგრელო-აფხაზეთი-აჭარა-გურია, კოლხური დაყენება, ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოები. ჭაჭაზე დგება სრულად. ბუნებრივად დაიწურება, 5-6 თვე ვხურავთ, დუღილი დამთავრდება, შეივსება და ფერმეტულად თიხით დაიხურება, ინახება გაზაფხულამდე, მარტი-აპრილამდე. შემდეგ მოიხსნება, ზედა თავი უკვე მდგრადი ღვინოა, რომელსაც დამუშავება აღარ სჭირდება. დანარჩენს, რასაც უკვ ჭაჭა აქვს, ორ ფრაქციად იღებენ, ბუნებრივად იწმინდება და სხვა არომატები აქვს. მეღვინეებს რომ ვაჩვენე, ძალიან მოეწონათ, არ ელოდნენ. რომ არა ის ბედნიერი შეხვედრა ჩემსა და მეუფეს შორის ალავერდის მონასტერთან, შესაძლოა, დღეს ქვევრის ღვინო დაკარგულიყო. ქვევრის ღვინო არის არა მხოლოდ ის, რომ ქვევრში დავაყენოთ, აუცილებელია ქვევრშივე ინახებოდეს.

-თქვენი აზრით, რა არის საჭირო ჩვენი ღვინის პოპულარიზაციისთვის სხვა ქვეყნების ბაზარზე?

–ამისთვის, პირველ რიგში, დიდია ეკლესიის როლი. კერძო მწარმოებლები, ძირითადად კომერციულ ინტერესს ეძებენ. ეკლესია-მონასტრებში ტრადიციული წესით ხდება ღვინის დაყენება, რაც ევროპელების და ამერიკელების ინტერესს იწვევს, ევროპულად დაყენებული აღარ უნდათ, მითუმეტეს ევროპული საფუვრებით დაყენებული, რომლებიც ბიძაშვილებივით ჰგავნან ერთმანეთს, ისინი ეძებენ ეგზოტიკას, სხვა გემოებს. მსოფლიო დაიღალა ერთი და იგივე ჯიშე

(დასასრული V გვერდზე)

დიმიტრი ყიფიანი

თანამედროვეთა და მამულიშვილების გადასახედიდან

დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა სამშობლოსა და ხალხის სამსახურში, იმდენად დიდი იყო საქართველოში, რომ მან თავისი უმწიკვლო, მოუსყიდავი, უანგარო სამსახურით საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა, მისი სახელი ქუხდა იმდროინდელ საქართველოში და ილიამდე უწოდებდნენ მას ერის მამას, რომელიც შემდგომში კომუნისტურმა რეჟიმმა მიჩქმალა და შეძლო მომდევნო თაობებისთვის დიმიტრი ყიფიანი გადაეგიწყებინა.

თავისი ცხოვრების წლები მან ისე გახარჯა, როგორც ეკადრებოდა ნამდვილ მამულიშვილს, ჭეშმარიტ ადამიანს. ბევრი ქართველის სული და გული მისკენ იყო მიპყრობილი, როგორც ერისა და მართლის, დიადი ქომაგისკენ.

დ. ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ, ილია ჭავჭავაძემ "ივერიონში" დაბეჭდა წერილი, სადაც მთელი სისრულით წარმოაჩინა დიმიტრი ყიფიანის პიროვნება: მისი აზრით, იგი იყო უდიდესი ნებისყოფისა და უაღრესად პრინციპული ხასიათის მოღვაწე, რომელიც მართალი გზით მიდიოდა, ე.ი. მისი უმთავრესი მიზანი, მისთვის მშობელი ქვეყნის, თავის ჩაგრული და პატივაყრილი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა გახლდათ.

საინტერესოა ილიას გადასახედიდან დიმიტრი ყიფიანის პიროვნებაზე მისი წარმოდგენა, მიუხედავად მათი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებისა ზოგიერთ საკითხებზე.

1893 წელს, როდესაც ილია ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის ოჯახს ესტუმრა, მოგვითხრობს დიმიტრი ყიფიანის რძალი ნინო ტატიშვილი. სახელდახელოდ გამართულ სუფრაზე პირველი ილია წამოდგა ფეხზე და დიდი შტაბეჭდილებების სიტყვა წარმოთქვა, რომელიც მიმართა დიმიტრის მეუღლეს და მწარედ ატირა. ჩემდა სავალალოდ, აღარ მახსოვს მისი შინაარსი (იგონებს ნინო) ხსოვნაში ჩამრჩა მხოლოდ უკანაკნელი სიტყვები „დიმიტრი იყო ჩვენი ხუროთმოძღვარი და ჩვენ მისი კალატოზებიო".

შთამბეჭდავია აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა მთაწმინდაზე, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე.

„შენი სიცოცხლის დროს სიამოვნებითა და მოწიწებით შენ წინ თავმოხრილი დღეს მწუხარებით მოვიდრეკ მუხლს, რომ უკანასკნელად თაყვანი ვცე შენს გაციებულ გვამს, ავაზაკებისგან სიცოცხლეგამწარებულს.

ნათელი სხივმომფინარედ ამობრწყინებული, სხივგაფანტვითვე ჩაესვენება, იმავ დიდებით და ძლიერებით, რომლითაც ამოელვარებულა და ნათელი სრბოლა მისი ყველასთვის სათვალდათვალოა, თვინიერ ბრმებისა და შენც, არსება ნათელო როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი შეიქნა ყველასთვის სათვალდათვალო და მაშ, შენდა საქებრად, სადიდებლად რადა ვთქვათ ისეთი, რომ საქართველოს ერთი კუთხიდამ მეორამდე არ ენახოთ, არ ეგრძნოთ, არ გაეგონოთ.

და აჰა! ხელცარიელი, უგვირგვინო ვდგავართ შენ წინ და მხოლოდ ცრემლებს ვაფრქვევ შენ ბედშავ, მაგრამ დიდებულ კუბოს! დეე, უღვთო-უსჯულოდ დათხეულს შენს სისხლს შეეთანაზიაროს ცრემლი სიმართლისა და გულრწფელობისა, რომ ორივე ერთად შეერთებულად, წმინდად დაიდვას იმა მომავლისთვის, რომელსაც შენ მთელ შენ სიცოცხლეს სწირავდი და ღირსიც გახდი, რომ იწოდო ნამდვილ დიმიტრი თავდადებულად!

მშვიდობით ხორციელად დაკარგულო, მაგრამ სულიერად კი საშვილიშვილოდ მოკავშირევ ჩვენო დიდებულო მოძღვარო!"

არჩილ ჯორჯაძე თავის გადასახედიდან ასეთ შეფასებას აძლევს დიმიტრი ყიფიანს:

„დიმიტრი ყიფიანი დასაფლავებულია მთაწმინდაზე-იქ სადაც ილია განისვენებს ამჟამად. ეს ორი მოღვაწე, სხვადასხვა გზით მოსიარულე, ერთ შესაფარში მეზობლად დააბინავა ქართველმა ერმა და ეს შემთხვევით არ მოხდა, ასე, ამას დიდი და ღრმა აზრი უდევს საფუძვლად. ორივენი საქართველოს გენიის სხვადასხვა სახით გამომსახველნი იყვნენ, ილია თითქოს ჭმუნვის და ფიქრის სიმბოლოა, დიმიტრი სიმბოლოა ნებისა და მოქმედებისა. ილია პოლიტიკური აზროვნების მხრივ, ახალი კაცი იყო, თუმცა ძველი დროისა და ნააზრევის კვალი მის გულში წაშლილი არ იყო. დიმიტრი ამ მხრივ სავსებით ძველი ეპოქის კაცი იყო, სამაგიეროდ მასში ამ ეპოქის ძლიერი ნებისყოფა იყო ჩანერგილი, რომელიც ამოძრავებდა მის ნებისყოფას, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანაში. ილია, თუმცა არსებითად ოპტიმისტი, რეფლექსიით იყო შეპყრობილი და მის მოქმედებას პირდაპირობა და შემართება აკლდა. დიმიტრი მთელი, მაგარი და მთლიანი იყო, როგორც ბუნების წიაღში ნაპოვნი ტვინი და მის ყოველ გადაწყვეტილებას შეურყევლობის სიმაგრე ჰქონდა, დიახ, შემთხვევით არ არიან დიმიტრი და ილია იმ მშვენიერ მაღლობზე უძველესი ტაძრის გვერდით, სადამც ეს ძველისძველი ტანჯული, ხოლო გულგაუტეხავი დედაქალაქი, ასე ლამაზად იშლება მთების დაქანებულ ფერდობებზე და დაბლა ნელის მღელვარე მტკვრის ორივე ნაპირებზე მოლოდინში გაოცებული სიხარულით გავყურებდით ამ ჩვენ დამშვენებულ ქვეყანას და ახლა ამ მოხუცის წყალობით, მთაწმინდაზედ, რომ მიწას აბარია, გადაჭრით და სამუდამოდ გამოვერკვიეთ ძილისა და ბურანისაგან, მაშ განისვენე მშვიდობიანო და დიდო მოხუცო, შენი სახელი კი აღბეჭდილია, ქართული ეროვნული შემეცნების ისტორიაში ".

ასევე საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის შეხედულება დიმიტრი ყიფიანზე:

„თბილისის საადგილმამულო ბანკი თავის აღმოცენებას უნდა უმადლოდეს მხოლოდ და მხოლოდ დ. ი. ყიფიანს. ამის უარყოფა არ ძალუძთ ბანკის ახლანდელ მოღვაწეებსაც კი".

„ ჩვენ შორის დ. ი. ყიფიანი არის მედგარი, ენერგიული, და პატიოსნების იშვიათი განსახიერება. იგი მეტისმეტად დიდი ჭკუის, განუზომელი უნარის პატრონია, აქვს გამოცდილების და ცოდნის დიდი მარაგი, გარდა ამისა ეკუთვნის იმ დროის საუკეთესო ადამიანთა რიცხვს, ის ყოველთვის ბეჯითად ადევნებდა თვალყურს საზოგადოებრივი აზრის მოძრაობას და მისი ნათელი გონებისათვის ყოველთვის მისაწვდომი იყო საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გაგება.

კიტა აბაშიძე:

„დიმიტრი ყიფიანი და ილია–ეს ორი ბურჯი ჩვენი ეროვნებისა, ამაყად გამოიყურებიან XIX საუკუნის უიმედო და უნუგეშო სინამდვილიდან"

დიმიტრი ყიფიანი პირველი ქართველი პროტესტანტია, რომელმაც ხმა ამოიღო მაშინ, როდესაც გარემო დუმილით იყო მოცული.

იმ საშინელი თავდამცირების ხანაში ყიფიანის სიტყვა მკვეთრი იყო, ვით მოღერებული ხმალი და თავზარდამცემი, როგორც მოულოდნელი თავდასხმა.

ვალერიან გუნია წერდა დიმიტრი ყიფიანზე:

„დიად, იგი იყო რაღაც დევგმირი, უცხო ქმნილება, აღსავსე მხნეობით, პატიოსნებით, სიმართლით და განუზომელი სიყვარულით!...

„მის ყოველ სისხლის წვეთში საზოგადო საქმისთვის შრომის სურვილი უდუღდა, რომელიც ერისა და ქვეყნისთვის მზად იყო მსხვერპლად შეეწირნა თავისი აწმყო, მომავალი და თვით საყვარელი სიცოცხლე, საზოგადოების და ხალხის სამსახურში, დიდებულის სულით და გულით იგი დიდებული იყო კაცთა შორის თავის საქმეებში, შეუდრეკელი ხასიათითა და უხედველის სიმტკიცით...! დიად მთელს საქართველოს რომ ჭიროდა ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა. მე ვეღარ ვნახავ იმის მსგავსსა ჩემ სიცოცხლეში".

შალვა ჩხეტია წერდა: „ხელისუფლებას უნდოდა დ. ყიფიანი დასჯილიყო, რომ მომავალში მსგავსი რამ არ გაემეორებინა.

„მაგრამ დ. ყიფიანი არ იყო იმ ტიპის მოღვაწე რომელსაც შეიძლება ვინმემ ხელი ააღებინოს თავის რწმენაზე დაშინებით ან თუნდაც დაყვავებით. დ. ყიფიანის ცნობილი პრინციპულობა და იდეურობა, შეურყეველი ხასიათი და ნებისყოფა, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული და ერთგულება სავსებით გამორიცხავდა მის უკან დახევას მისი მხრით, (რასაც შეეწირა კიდეც). მას არასოდეს უღალატია თავისი პრინციპებისთვის და საზოგადოებრივი საქმე პირად ანგარიშზე არ გადაუხურდავებია".

ზაქარია ჭიჭინაძე: „დ. ყიფიანი არის ისეთი პირი, რომლის მსგავსიც იშვიათია, არამც თუ მის დროში, არამედ ჩვენ დროშიაც".

„გამბედაობაში მას ბადალი არ ჰყავდა, მის ღირსებას ცხადად ცნობენ მისი საქმენი და მაგალითნი, ვიტყვით, რომ ჭეშმარიად მკვდარი დ. ყიფიანის ცხოვრების ცნობები, ბევრ ჭაბუკს ქართველს გაამხნევებს და აღადგენს იგი ცოცხალის გრძნობებითა.

ეს თვალსაჩინო პირი რომ ირლანდიაში დაბადებულიყო იგი იქმნებოდა ირლანდიის გლადსტიონი, ჩვენ კი ამ პირს ქართველების გლადსტონს ვუწოდებთ, ეს არამც თუ მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის გლადსტონად წარმოდგენითაა, რომ ეს პირი თავის დროს დაბადებულიყო და ან მას შესაფერი დასი ჰკვრიყო გარს."

შალვა ამირეჯიბი: „დიმიტრი ყიფიანი დიდი ცოდნითა და ნიჭით შეიარაღებული საზოგადო მოღვაწე იყო. მაგრამ საზოგადო მოღვაწეს მასში პატრიოტი სჯაბნიდა.

დიმიტრი ყიფიანი პატრიოტი იყო „ფეხით თხემამდე" მეფე ლირის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი სარწმუნოება სამშობლო იყო, მისი ზნეობა-პატრიოტიზმი.

სიმამაცე შეადგენდა სიმშვენიერეს მისი სულისას, შთამომავლობას დაუტოვა ძეგლად ტანჯული დღენი თავისი ცხოვრებისა, ამ ძეგლზედ თავის სისხლის წვეთებით დაწერა მან, როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს სამშობლო და როგორ უნდა დაიცვას მან იგი."

ფელიქს დანელიამ თავისი წერილის სათაურად დიმიტრი ყიფიანზე შემდეგი სიტყვები გამოიყენა: „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან".

„დიმიტრი ყიფიანი თავის დროისთვის დიდად განათლებული და ერუდირებული, საქმის მცოდნე, შეუდრეკელი სულისა და ხასიათის ჭეშმარიტი პატრიოტი პიროვნება, იგი სიტყვითა და საქმით ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა ხალხს".

სილოვან ხუნდაძე დასწრებია დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებას, ქუთაისში დაბრუნებულს წერილი გამოუგზავნია გარდაცვალებულის მეუღლისათვის „დიდად პატივცემულო ნინო! „მოგეხსენებათ თუ როგორ მიყვარდა მე დიმიტრი და მაშასადამე დამიჯერებთ, რომ ამ საშინელმა ამბავმა თავზარი დამცა, როცა გარემოს თვალი მოვავლე, ყველა ჩემსავით ტიროდნენ, ჩემი ცრემლი მთელი ხალხის ცრემლში გაერია და სრულიად შთაინთქა, დამერწმუნეთ რომ დიმიტრისთანა კაცები არასდროს კვდებიან და მარად იცოცხლებს მთელი ქართველი ერის, ყოველი ჭეშმარიტი ადამიანის გულში. ამგვარად დიდებული სიკვდილი არის საუკუნო სიცოცხლე, საუკუნო ცხოვრება! ამ რწმენამ გვანუგეშა ჩვენ, ამ წარმოდგენამ შემაშრო თვალს ცრემლი მეც და გამხნევებული წარმოვიდგენ მის სახეს, როგორც კვლავ ცოცხალს, ქალბატონო ნინო! თქვენც ინუგეშეთ დიმიტრის უკვდავი სახელით და თქვენცა შეიშრეთ თვალს ცრემლი".

კონსტანტინე გამსახურდია წერდა დიმიტრიზე: „დიდი საკითხია, ტრაგედიის გმირი უფრო დიდი კაცია, თუ ტრაგედიის ავტორი, ჰამლეტი თუ შექსპირი, სოკრატე თუ პლატონი, დიმიტრი ყიფიანი თუ ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძე იყო ავტორი საქართველოს ტრაგედიისა, დიმიტრი ყიფიანი ამავე ტრაგედიის გმირი. ილია ჭავჭავაძე თავის სულში ატარებდა ამ ტრაგედიის ყველა ელემენტს, მაგრამ მისი ცოვრების ფინალი პირდაპირ შედეგი არ ყოფილა მისი ცხოვრების და ბრძოლის ტრაგიკული კვანძისა, დიმიტრი ყიფიანი როგორც ავტორი, როგორც მწერალი ჩვენ აღარ გვახსოვს, მას არცერთი თვალსაჩინო ლექსი, არც მოთხრობა არ დაუწერია.

მიუხედავად ამისა, მას ილიას გვერდით მიუჩინა ქართველმა ერმა ადგილი და მათი დაშორება ჩვენ ხსოვნაში შეუძლებელია."

ვახტანგ თულაშვილი ჟურნალ „მოამბის" 1895 წ, №-5-ში წერდა დ. ყიფიანზე:

„ღმერთმა ნუ მოაკლოს საქართელოს ამისთანა ერთგული და სახელოვანი მამულიშვილი" იმედი გვაქვს, ოდესმე იმისთანა დრო დადგება, როდესაც საზოგადოება დააფასებს ნამდვილსა და ერთგულ მამულიშვილს და გაარჩევს ვინ

(დასასრული V გვერდზე)

(დასასრული)

დიმიტრი ყიფიანი

თანამედროვეთა და მამუ-ღიშვილების გადასახედიდან

ემსახურებოდა ქვეყანას სულითა და გულითა, ვინ იღწვოდა მისთვის საქმითა და ვინ მხოლოდ ლიტონის სიტყვითა.

იოსებ იმედაშვილი: „ხვალ სრულდება ასი წელიწადი, რაც თვალი გაახილა დიდებულმა მამულიშვილმა დიმიტრი ყიფიანმა, მეორე დიმიტრი თავდადებულად წოდებულმა.

დიმიტრი ყიფიანი-გვემული-წამებული–ეს იგივეა მეცხრამეტე საუკუნის საქართველო, საქართველო მრავალტანჯული".

სამსონ ფირცხალავა: „ვინც რა მიმართულების არ უნდა იყოს, გვერდს ვერ აუვლის იმ მოხუცის პიროვნებას, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა თავდადებული მამულიშვილის სახელი, ვერცერთი ჩვენი მკვლევარი ვერ გაივლის მის წინაშე ისე, რომ დიდხანს, ღრმად არ ჩაუკვირდეს მის სახელს რომელიც ბრწყინავს რწმენით და გაბედულებით".

გრიგოლ დიასამიძე: „დიმიტრი ყიფიანი, დიდი, მეტად დიდი პიროვნებაა, როგორც თავის მედგარი, შეუპოვარი ხასიათით, ისე შემოქმედებით."

ნიკო ყიასაშვილი: „დიმიტრი ყიფიანი, როგორც საზოგადო მოღვაწე ერის ცხოვრების იმ საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრას ემსახურებოდა, რაც თავდადებული პატრიოტის ფანატიკურ თავგანწირვას მოითხოვდა, ყველაფერი, რასაც ეს შესანიშნავი მოქალაქე აკეთებდა, დიდი შინაგანი წვითა და შემოქმედებითი ნიჭით იყო აღბეჭდილი და თუ მან, ლიტერატურული მოღვაწეობის სფეროში შედევრები არ დაგვიტოვა-აქაც მისი ღვაწლი მაინც მეტად დიდია. დიმიტრი ყიფიანი, ფაქტიურად ყამირს ტეხდა, როცა შექსპირის ქართულად ამეტყველებას ცდილობდა და საოცარია მისი პიონერული ნაბიჯების სითამამე და წარმატება, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია".

დიმიტრი ყიფიანის თარგმანებს ის უდავო ღირსებები აქვს, წერს დიმიტრი ყიფიანის მკვლევარი პროფესორი თამაზ ჯოლოგუა, რომ: ა) მათი უმეტესობა შესრულებულია ორიგინალის ენიდან; ბ) მთარგმნელს მშობლიურ ენაზე ძირითადად გადმოქონდა დასავლეთ ევროპული ლიტერატურის ნიმუშები, რითაც ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურული აზროვნების ევროპეიზაციას.

გუჩა კვარაცხელია. „დიმიტრი ყიფიანი ცნობილია, ერთი მხრივ, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი და პუბლიცისტი, შექსპირის, მოლიერის, ჰიუგოს ნაწარმოებების მთარგმნელი, ორიგინალური თხზულებებისა და ისტორიული ნარკვევების ავტორი, ქართული დრამატული საზოგადოების, ქართული პერიოდული პრესის, პროფესიული ქართული თეატრის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, პირველი საჯარო ბიბლიოთეკისა და საადგილმამულო ბანკის ერთ-ერთი ორგანიზატორი და, მეორე მხრივ, როგორც სახელმწიფო მოღვაწე. არ არის არც ერთი ადგილი და კუთხე საქართველოში, სადაც დიმიტრი ყიფიანი არ ყოფილიყო დანიშნული მთავრობისაგან, როგორც ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი. იმერეთი, სამეგრელო, გურია, ქართლი, კახეთი-ყველა იცნობდა დიმიტრი ყიფიანს. ოცდაცამეტი წლის სამსახურის დროს დ. ყიფიანს არ მოუსვენია არც ერთი დღე, არც ერთი საათი; იგი მხნედ ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩინოვნიკი, არამედ როგორც პატიოსანი კაცი და დაუცხრომელი მოღვაწე".

ცნობილი საზოგადო მოღვაწე თემურ ჯაგოდნიშვილი თავის აზრს გამოთქვამდა დიმიტრი ყიფიანზე.

„თავისი ნაშრომების მიხედვით, დ. ყიფიანი წარმოდგება მკვლევარად, რომელიც იცნობს თავის თანამედროვე მეცნიერების, მათ შორის ენათმეცნიერების და ფოლკლორისტიკის მონაპოვრებს, ფლობს დიდ ცოდნას და ქართული ზეპირსიტყვიერი მასალის რაობას ამ ცოდნის სიბრტყეზე არკვევს.

უცნობი ავტორი: „დიმიტრი ყიფიანის ვრცელი სამოღვაწეო ასპარეზის შუაგულია საქართველო, მისი სამშობლო, სიყვარული მისდამი... ეს სიყვარული იყო გვირგვინი ყველა მისი საქმეთა".

უცნობი ავტორი: „მას არ გაუმდიდრებია არც ჩვენი მწერლობა, არც ჩვენი მეცნიერება, მაგრამ ის ჩვენ თვალწინ სდგას, როგორც ბრინჯაოსაგან ჩამოყალიბებული განსახიერება თავდადების, რაინდობისა და სიმტკიცისა. ეს მორალური თვისებები კი ერისათვის არანაკლებ ძვირფასია, ვიდრე გამოჩენილი ლიტერატურული ნაწარმოები ან მეცნიერული ტრაქტატი.

ეროვნული თავმოყვარეობის დაცვა და ისიც საკუთარი სისხლის ფასად ისეთი დიადი და ამაღლებული აქციაა, რომ არასოდეს არ უნდა დაივიწყოს შთამომავლობამ".

უცნობი ავტორი: დიმიტრი იყო დიდებული მამულიშვილი და მისი მსგავსი მეცხრამეტე საუკუნეში არავინ დაბადებულა საქართველოში".

და ბოლოს, იმ უამრავი ლექსებიდან რომელიც დიმიტრი ყიფიანს მიუძღვნეს გარდაცვალებისას სილოვან ნარმანიძის ლექსით დავამთავროთ:

ის გმირი იყო და გმირულად უყვარდა ბრძოლა,
ცრუ-პატრიოტთა მსგავსად მალვით არ გაჰკიოდა,
სხვებს სიტყვით უყვართ თავისი მხარე, სხვებს ენა სტკივათ,
მას ძველებურად მამულისთვის გული სტკიოდა.
დღეს მსგავსი გმირი აღარა გვყავს, ის იყო ერთი,
მასზედ იტყოდი წრფლის გულითა : „აჰა ქართველი"
ისიც ჯვარს აცვეს, რას უყურებ, მზეო, დაბნელდი,
ცაო, იტირე და აღავსე ცრემლით ტყე-ველი....

„დიმიტრი ყიფიანს დღესდღეობით ქართველთა საზოგადოების ცნობიერებაში სრულებით არ უჭირავს ის ადგილი, სადაც სამართლიანად უნდა ეჭიროს", წერს თამაზ ჯოლოგუა თავის სტატიაში.

დიმიტრი ყიფიანის ღირსებებზე და დამსახურებებზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ იგი თავის სამშობლოში, რომელსაც თავი შეწირა დაფასებული არ არის. არ არსებობს მისი ძეგლი საქართველოში. მისი სახლ-კარი ქვიშხეთში, სადაც მუზეუმია განთავსებული თავზე გვენგრევა. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდმა, დიმიტრი ყიფიანი 2007 წელს წმინდანად შერაცხა. საზოგადოების ყველა ნაწილმა ასე თუ ისე, თავისი ვალი მოიხადა, გარდა სახელმწიფოსი, რომელიც ჯიუტად დუმს.

გივი გელაშვილი

(დასასრული)

მეცნიერი, რომელმაც ქვევრის ღვინო გადაარჩინა და მსოფლიოს გააცნო

ბით. ჩინეთმაც კი დაიწყო "კაბერნეს" გაშენება, რომელიც ახლოსაც ვერ მივა "საფერავთან", ესაა უნიკალური ჯიში.

-როგორც ვიცი, რამდენიმე დაკარგული უნიკალური ყურძნის ჯიში თქვენი ნაპოვნია...

–2011 წელს, დაკარგულ კახური ყურძნის ჯიშს მივაგენი ყვარელში, სულ 33 ძირს. 1846 წლის რუსულ გაზეთ "კავკაზში" წავაწყდი პუბლიკაციას, სადაც ჩამოთვლილი ყურძნის ჯიშები: "რქაწითელი","საფერავი","კახური მწვანე" და "მცვივანი" გამორჩეულ სახეობებად იყო დასახელებული, რომლებიც იძლეოდნენ საუკეთესო ღვინოს. როდესაც კახეთში აღმოვაჩინე ეს სახეობა, მოსახლეობამ დამითმო ეს 33 ძირი, შევისწავლე და 6 წლის მანძილზე მომქონდა ყურძენი და ვაყენებდი ღვინოს. შევისწავლე ქიმიურ-ტექნოლოგიურად. გამორჩეულია ბევრი თვისებით, ჩვენ პირობებში, (ხაშურში) 27-მდე ადის შაქრიანობა. ცოტა გრილ ადგილებში, აქვს შაქრის დაგროვების გენეტიკური თვისება და შენარჩუნებით ყინვაგამძლეა.

2011 წ. ქვევრის გახსნა ალავერდის მონასტრის მარანში. მარჯვნიდან მარცხნივ: ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი და თეიმურაზ ღლონტი აჭაშნიკებენ ქვევრის ღვინოს.

ხაშურში არის ასეთი სახეობა "დანახარული", პირველად ვნახე ინფორმაცია ამ სახეობაზე, აღმოჩნდა, რომ ისტორიულად ხაშურის მიკროზონაში იყო გავრცელებული. დავიწყე ძიება, აღარ იყო ფიზიკურად. 2006-08 წლებში კიშინიოვის კოლექციებში იყო შენახული 137 ქართული ჯიში, რომელიც უკვე ჩვენ აღარ გვქონდა. დიდ ქვეყნებსაც არ აქვთ ამდენი სახეობა. დანახარული ჩამოიტანეს, ჯიღაურას სანერგე მეურნეობაში ღვინოც დააყენეს. ასეთი ღვინო ქართლში არ არის, ჩამოყალიბებული, მამაკაცური ღვინოა. მუხრან ბატონს ქონდა 10 სახეობის ღვინო, 5 შავი, 5 წითელი, რომლებიც 60-იანი წლებიდან აღარ არის.

-ხაშურში რომელი ყურძნის ჯიშით შეგვიძლია თავი მოვიწონოთ?

–მშვენიერი ღვინო დგება ჩინურისგან, გორული მწვანისგან, დანახარულისგან, თავკვერისგან, რომლებიც ჩვენს ნიადაგებს და კლიმატს ერგება.

-ჩვენთან სუფრაზე მხოლოდ ერთი ღვინით ვმასპინძლობთ, როცა სხვადასხვა კერძს, სხვადასხვა ფერის და თვისებების ღვინო შეფერება. რამდენად გამართლებულია ეს და თუა ამის კულტურა საქართველოში ახლა?

–უცხოელები რომ ჩამოდიან, გაოცებული არიან ჩვენი სუფრით, ღვინით. 2013 წლის „ექსპოჯორჯიის" სიმპოზიუმში ჩამოსული იყო კალიფორნიიდან რესტორნის მფლობელი, რომელმაც თქვა, რომ ძალიან მოსწონდა ჩვენი სუფრა და სურვილი ჰქონდა, მის რესტორანში დაენერგა ისეთივე კულტურა, როგორიც აქაა, სადაც ყველაფერი ერთდროულად შემოდის და ყველაფერ ამას, ერთი ღვინო მოყვება.

გერასიმოვი იყო პროფესორი, თელავის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, რომელიც პირდაპირ წერს, რომ ცხარე და ცხიმიან საკვებთან კარგადაა შეთანაწყობილი კახური ღვინოები. ევროპული უფრო თევზთან, ყველთან, "კახური მცვივანი" გამორჩეულია მაღალი ანტიოქსიდანტური მაჩვენებლით. ოქსიდანტი არის ის ნივთიერება, რომელიც ძალიან მდიდარია "მცვივანსა" და კახურ "საფერავში", თეორი ჯიშებიდან არცერთია ასეთი თვისებების. ანტიოქსიდანტები დევნიან ქოლესტერინს და მავნე ნივთიერებებს უჯრედებიდან, ანუ, ასუფთავებენ. თავისუფალი რადიკალები, რომლებიც წარმოქმნიან სიმსივნურ უჯრედებს, გამოჰყავს ამ ნაერთებს, რომლებიც გამოჰყავს კახურ "მცვივანს".

-რომელ ღვინოს გაუწევდით რეკომენდაციას, რომლის მიღებაც შეიძლება მცირე მოცულობით, ყოველდღიურად?

–აუცილებელია ამის პრაქტიკაში დანერგვა. სასურველია ჭაჭაზე დაყენებული ღვინოები. 200-300 გრ ღვინო ყოველდღიურად, სასარგებლოა. "საფერავი" ძალიან კარგია, კახური ღვინოები ტრადიციული წესით დაყენებული ჭაჭაზე.

-თქვენი შვილები თუ არიან დაინტერესებული თქვენი საქმიანობით?

–2 ვაჟი მყავს და 4 შვილიშვილი. ჩემი შვილი ქართული ღვინის კულტურის ცენტრის მენეჯერია. ჩვენ ერთობლივად ვაკეთებთ ალავერდის მონასტერში ამ საქმეს, წიგნი გამოვეცით, რომლის თანაავტორიცაა. მეორე ვაჟი პოლონეთში ცხოვრობს, მეუღლე მხატვარი ჰყავს, მაგრამ, პარალელურად, მეღვინეობაშია ჩართული, ქართული ღვინის პოპულარიზაციას ეწევა ევროპაში.

თ. ჯავახიშვილი

ანონსი

10-11 სექტემბერს „ხაშურ-ქალაქობაა“

10 სექტემბერი

12 სთ.– ოფიციალური შეხვედრა ლიტვის, ლატვიის, უკრაინის, ბელორუსიის, პოლონეთის და შვედეთის დელეგაციებთან ადმინისტრაციულ შენობაში;

13 სთ. –მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დათვალიერება -ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური (ბოხუმის) მასალები;

14 სთ. – საზეიმო მსვლელობა სანახაობრივი წარმოდგენით - მუზეუმი - კულტურისა და დასვენების პარკი;

15 სთ. – პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქუჩის გახსნა: ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა; ადგილობრივი წარმოების ალკოჰოლური სასმელების გამოფენა-დეგუსტაცია;

15.40 სთ. – დაჯილდოების ცერემონია სპორტის სხვადასხვა სახეობებში;

16.20.სთ. – სხვადასხვა კულტურული აქტივობა კულტურისა და დასვენების პარკში;

17 სთ. – კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით;

18 სთ. – ხაშურის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება და მოწვეული დელეგაციების წარდგენა ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე;

19.00 სთ – კონცერტი მოწვეული მუსიკალური ჯგუფის მონაწილეობით (ფოლკლორულ-ინსტრუმენტალური ჯგუფი „ეგარი“);

20.30 –22.00 სთ – ადგილობრივი ბენდი.

11 სექტემბერი

„ლესიაობა“ სურამში, სხვადასხვა აქტივობები დასრულდება საზეიმო კონცერტით ადგილობრივი ძალების მონაწილეობით (14 სთ).

გელა ბარათაშვილის სახელობის ტურნირი

27 აგვისტოს ქ.ხაშურში დ.ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონატის დარბაზში ჩატარდა ევროპის ჩემპიონის, მსოფლიოს ორ გზის პრიზიორის ჭიდაობა„სამბოში", ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების პრიზიორის „ძიუდოში" გელა ბარათაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა „სამბოში". ტურნირზე წარმატებით იასპარეზა ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრმა ლუკა მაისურაძემ. ვულოცავთ ლუკას ამ წარმატებას და მომავალ შეჯიბრებებში ვუსურვებთ გამარჯვებებს.

სურათზე: სხვადასხვა წონით კატეგორიებში გამარჯვებული სპორტსმენები.

რაიონის პირველობა მინი-ფეხბურთში უბნებს შორის

დამთავრდა ხაშურის მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში. დაძაბულ ბრძოლებში საპრიზო ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით გადანაწილდა:

I ადგილი - „ემტეესი“

II ადგილი - „დურუ“

III ადგილი - „სელესაუ“

ტურნირის საუკეთესო მეკარე - თორნიკე ნოზაძე (დურუ)

ფინალის საუკეთესო მოთამაშე - ლევან ბალიანი (ემტეესი)

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე - თემური ხაჩიძე (ემტეესი)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნულ ტურნირზე დაწესებული იყო,მედლები, თასები და ფასიანი საჩუქრები, რომელიც გადაეცათ, როგორც საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს,ასევე სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულ მონაწილეებს.

ა(ა)იპ “სავანეს” ხელმძღვანელს - ბატონ შოთა კოპაძეს

ძალიან დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამთ და დიდ მადლობას ვუხდით ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას,მის თანამშრომლებს და თქვენ ბატონო შოთა, ასეთი ენერგიული შრომისთვის, ასეთი ყურადღებისთვის, რომ რაიონის ყველა კუთხეს მიაქციეთ ყურადღება, ყველა ქუჩას, სკვერს-ბაღებს მიეცა თავისი სახე, დაეტყო ყველა ადგილს მეპატრონის ხელი. თურმე, ყველაფერი შესაძლებელია, თუ ხელმძღვანელი მთელი გულით ეპყრობა თავის სამსახურს და განსაკუთრებით თავის მშობლიურ ქალაქს და რაიონს, კიდევ ერთხელ მინდა, ბატონო შოთა, დიდი მადლობა გითხრათ პირადად მე, ნატო ხაჩიძემ, როგორც რაიონის მკვიდრი მაცხოვრებლის სახელით, ასევე ჩამოსულ დამსვენებელთა სახელითაც. დიდხანს გემუშავოთ ასეთი ენერგიით და ასეთი წარმატებით, უფალი იყოს თქვენი მფარველი.

ერთ პატარა თხოვნას და წინადადებას შემოგთავაზებდით,ბატონო შოთა,იქნებ აუკრძალოთ სასეირნო პარკში და სკვერებში მეპატრონეებს ძაღლების შემოყვანა და სეირნობა. მართალია საბელებით ასეირნებენ, მაგრამ არ არის რეკომენდებული ძაღლების სეირნობა იქ, სადაც ბავშვები დადიან, ასევე მშობლები, დამსვენებლები და დიდ შიშს და განცდებს ჰგვრით, როგორც ბავშვებს, ასევე მშვიდად მოსეირნე ხალხს. აქ საზოგადოება შემოდის თავის შვილიშვილებთან ერთად განსატვირთად, დასასვენებლად და არა შიშისა და განცდისთვის. იმედია, ამ წინადადებას მიიღებთ და შეასრულებთ. წინასწარ დიდი მადლობა და გისურვებთ ჯანმრთელობას.

დიდი პატივისცემით სასეირნო პარკში მოსიარულენი და დამსვენებელნი:
ნ. ხაჩიძე, ნ. ლომიძე, ყ. ოქროპირიძე, ვ. ხაჩიძე, ვ. გაგლოშვილი, მ. ნოზაძე, გ. ვადაჭკორია, პ. პაპიძე, მ. ნოღარაძე, მ. პაქსაშვილი, ვ. ბურჯანაძე

დაათვალიერეს მშენებლობები

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა და ეკონომიკის სამსახურის უფროსმა სერგო ლალიაშვილმა ქალაქ ხაშურში, შინდარის დასახლებაში, ახლად აშენებული სპორტული მოედანი და ხეთაგუროვის ქუჩაზე მდებარე №3 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

სპორტული მოედნის მოწყობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 61 935 ლარი გამოიყო, საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის კი-200 000 ლარი. №3 საბავშვო ბაღს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და სასწავლო წლისთვის ექვსი ჯგუფის-150-მდე აღსაზრდელის მიღებას შეძლებს. აღნიშნული პროექტების განხორციელება მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მოხდა.

მიმდინარეობს სურამის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია

სურამში სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები გრძელდება. შენობას გამოეცვალა სახურავი, ამჯერად კი შიდა სამუშაოები მიმდინარეობს: მუშავდება კედლები, ჭერი, იცვლება კარ-ფანჯარა, სველი წერტილები და სხვა.

აღნიშნული ობიექტი ათწლეულების განმავლობაში არ გარემონტებულა და მისი რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის გამგეობამ პრიორიტეტად მიიჩნია. სამუშაოები, რომლის ღირებულება 72 126 ლარს შეადგენს,2016 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის დასრულდება.

განცხადება

D

მ.პ.გ. „დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის“ ხაშურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი რევაზ კოშკაძე აწარმოებს მოქალაქეებთან შეხვედრას ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს 11 საათიდან – 15 საათამდე შემდეგ მისამართზე:

ხაშური, ტაბიძის ქ. №7, III სართული. ტელეფონი: 27 38 18; 557 243532; 568-873-257.

D დავით კაკიაშვილის სახელობის ხაშურის მეორე საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

ანა ნოზაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.